ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 11

ქ. თბილისი, 19 ივნისი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 25 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განხორციელებელი ცვლილებების შესახებ

   /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

   /ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

   /დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის** ინფორმაცია ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განხორციელებელი ცვლილებების შესახებ.

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილებები, კათედრამ მოახდინა ინიცირება და წარმოადგინა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი ღაღანიძე - პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
2. შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. იოსებ ხელაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
4. ნანა კაციტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
5. ირაკლი კოვზანაძე - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
6. ნუგზარ თოდუა - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
7. თემურ შენგელია - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
8. დავით ნარმანია - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი

9. დემურ სიჭინავა - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
10. ლევან საბაური - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
11. მერაბ ხოხობაია - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
12. მამუკა ხუსკივაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
13. ვალერი არღუთაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
14. მანანა ლობჟანიძე - ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
15. მარინა ჩავლეიშვილი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
16. ია ნაცვლიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
17. ქეთევან ჩიტალაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
18. აკაკი მიქაბერიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი
19. ირმა მშვენიერაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
20. ანა გვენეტაძე- ბაკალავრიატის სტუდენტი
21. ანა აბესაძე - მაგისტრატურის სტუდენტი
22. ჯეინ გიორგობიანი - კურსდამთავრებული
23. თამარ თორია - დოქტორანტი
24. ნიკოლოზ კვარაცხელია - პროფესორი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაციის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი
25. ქეთევან მელაძე - საქართველოს გიდების ასოციაციის პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დამსაქმებელი

26. ნიკოლას მასლოვსკი (Nikolas Maslovski), ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის კოორდინატორი
27. ბელა ხაბეიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ჰუმანირატური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ლლუ2-ს „ტურიზმის“ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მოწვეული პედაგოგი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს დამსწრე წევრმა, ტურიზმის კათედრის **ასოცირებულმა პროფესორმა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ნანა კაციტაძემ** წამოაყენა წინადადება, რომ წარმოდგენილ შემადგენლობას გამოაკლდეს პროფ. ნიკო კვარაცხელია, რადგან მან დააფიქსირა არაკეთილმოსურნეობა ჩვენი პროგრამის მიმართ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. ღაღანიძემ, აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ი. ხელაშვილმა.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 1

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი ღაღანიძე - პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
2. შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. იოსებ ხელაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
4. ნანა კაციტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

5. ირაკლი კოვზანაძე - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
6. ნუგზარ თოდუა - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
7. თემურ შენგელია - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
8. დავით ნარმანია - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
9. დემურ სიჭინავა - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
10. ლევან საბაური - პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
11. მერაბ ხოხობაია - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
12. მამუკა ხუსკივაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
13. ვალერი არღუთაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი
14. მანანა ლობჟანიძე - ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
15. მარინა ჩავლეიშვილი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
16. ია ნაცვლიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
17. ქეთევან ჩიტალაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
18. აკაკი მიქაბერიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი
19. ირმა მშვენიერაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

20. ანა გვენეტაძე- ბაკალავრიატის სტუდენტი
21. ანა აბესაძე - მაგისტრატურის სტუდენტი
22. ჯეინ გიორგობიანი - კურსდამთავრებული
23. თამარ თორია - დოქტორანტი
24. ნიკოლოზ კვარაცხელია - პროფესორი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაციის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი
25. ქეთევან მელაძე - საქართველოს გიდების ასოციაციის პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დამსაქმებელი
26. ნიკოლას მასლოვსკი (Nikolas Maslovski), ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის კოორდინატორი
27. ბელა ხაბეიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს ჰუმანირატური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ-ლლუ2-ს „ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მოწვეული პედაგოგი

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე გოგოტიშვილმა (პ/ნ: 33001066776) განცხადებით მომართა ფაკულტეტის დეკანს. განცხადებაში აღნიშნა, რომ მან ორი წლის წინ, კერძოდ, 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შეასრულა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი, თუმცა დღემდე ხარისხი არ აქვს მინიჭებული.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა გადაამოწმა ალექსანდრე გოგოტიშვილის სწავლის შედეგები 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით. დადგინდა შემდეგი:

- ალექსანდრე გოგოტიშვილი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩაირიცხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე (ბრძანება №974/01-04, 14.09.2016).
- 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით მიეცა სწავლის გაგრძელების და I დამატებით სემესტრში დარეგისტრირების უფლება (ბრძანება №749/01-04, 10.07.2020).
- 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით მიეცა სწავლის გაგრძელების და II დამატებით სემესტრში დარეგისტრირების უფლება (ბრძანება №729/01-04, 31.03.2021).
- 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით მიეცა სწავლის გაგრძელების და III დამატებით სემესტრში დარეგისტრირების უფლება (ბრძანება №950/01-04, 26.10.2021).
- 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით მიეცა სწავლის გაგრძელების და IV დამატებით სემესტრში დარეგისტრირების უფლება (ბრძანება №525/01-04, 29.03.2022).
- 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი (ბრძანება №982/01-04, 28.10.2022).

საქმისწარმოებისას ასევე, გადამოწმდა შესაბამისი სპეციალისტის მიერ შესრულებული ჩანაწერები. ჩანაწერებიდან დადგინდა, რომ ალექსანდრე გოგოტიშვილს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხი არ მიენიჭა, რადგან არ ჰქონდა ჩაბარებული პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი". გადამოწმებისას დადგინდა, რომ ალ. გოგოტიშვილმა სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი" ჩააბარა დამატებითი გამოცდების ვადაში და მიიღო შეფასება 18 ქულა, რაც არ იყო საკმარისი კრედიტის მისაღებად. როგორც ჩანს, მან გამოცდაში მიღებულ შეფასებაზე აპელაცია

განახორციელა მოგვიანებით, რადგან ხარისხის მინიჭების დროს მას არ ჰქონდა შესრულებული საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი (რაც დასტურდება შესაბამისი სპეციალისტის ჩანაწერებიდან). მონაცემთა მართვის სისტემიდან ირკვევა, რომ აპელაციის შედეგად სტუდენტს მოემატა 2 ქულა და 18 ქულის ნაცვლად დაუფიქსირდა 20 ქულა. საბოლოოდ, სტუდენტმა სასწავლო კურსში „საერთაშორისო მარკეტინგი" მიიღო შეფასება 51 ქულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა, რომ მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. გოგოტიშვილი ალექსანდრე 33001066776

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. გოგოტიშვილი ალექსანდრე 33001066776

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

1. ვანდა ჩიტაშვილი - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (საქართველო-ევროკავშირი) გავლენის შეფასება საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე ევროკავშირის ბაზარზე“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. ლელა კინწურაშვილი - „ადამიანისეული კაპიტალის განვითარების თავისებურებები საქართველოს შრომის ბაზარზე ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
3. შოთა გაბადაძე - „უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ციფრული ტრანსფორმაციისა და ევროინტეგრაციის პროცესში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
4. ჰეიდარ ალიევი - „ბუნებრივ აირზე მოთხოვნის პროგნოზირება საქართველოში" (VAR მოდელის გამოყენებით)“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
5. ნინო გრძელიშვილის სადისერტაციო თემა „სოციალური პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში“ შეიცვალოს და დამტკიცდეს „საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში“
   (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი)

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სადისერტაციო თემები და მეცნიერ ხელმძღვანელები.

მიმდინარე საკითხებში პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ

1. ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამები გადიან აკრედიტაციას, ბოლო დეკადაში ველოდებით სააკრედიტაციო ვიზიტს, ეს არის პირველი კლასტერული აკრედიტაცია, იქნება უცხოელი თავმჯდომარე, ძალიან დიდი სამუშაოა ჩატარებული და იმედია ყველაფერი კარგად ჩაივლის;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ ადგილებზე არსებული მდგომარეობით პირველი შემოხაზვა აღემატება ადგილების რაოდენობას, გარდა ტურიზმის პროგრამისა.

3. გამოცხადდა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები. არჩევნების დღეა 5 ივლისი. ვთხოვ აკადემიურ პერსონალს და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — გ. ფოქომაიშვილი